

რედაქცია

გოლოვინის პრესბიტერი თაე. ივ. მუსხრისკის სხ.
სევის-მოწერა
მოდებდა ტულისში „დროების“ რედაქციას...

დროება

ფანი განცხადებისა

დიდსი ასობით, ასობით ერთი-ერთი...
დროების განცხადებისა

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ცალკე-შეკრ-დროებისა... დანახარაი შეკრ.

ახონებუნების რიცხვი
არწრუნის თეატრი.
კვირას, 6 თებერვალს
ბ ე ნ ე ჭ ი ს ი
ა. გ. მოხუციისა

ქალბ. ელ. ყაზიბეგის მონაწილეობით
ქართული დრამატული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება

I

პირველად
რაინლი

უზიზარი და გულ-მართალი
ოპერეტა 2 მოქმ. მუხიკა ლეკოკასა.

II

პირველად
ქართული ქალი სტუდენტებში

კომედია—ჭარსი 2 მოქმედ. თხზ.
ა. მოხუცბარძისა.

III

დოვარტისკანთი
ჩანწერი და ლეკური.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრაფი

სამხედვარ გარეთიდან
1 თებერვალს
პარიში. დღეს დეპუტატთა პალა-
ტში წარადგინეს შეგვიძლია წესდებ-
ბულებს სუნატისა პრინციპის შესა-
ხებ. განცხადებულის ბასის შემდეგ
სხენებულება წესდებულება გადაეცა

ესეც იმ კამისას, რომელმაც ეს წეს-
დებულება შეამუშავა ხელ-ახლავ გან-
სარჩევად, ყველანი დარწმუნებული
არაიან, რომ ხალხი უარს ჭეყფს
სუნატის წინადადებას; კაბინეტმა შეი-
ტანა სამსახურად დათხოვნის ქა-
ლადი. ამბობენ, გრევი ჭრეისინიეს
მიანდობს ახლის სამინისტროს შედ-
გენას.

უძრავი ქვის ხმის უმეტესობით სე-
ნატმა უარ-ჭეყა გუშინ პირველი და
მესამე მუხლი წესდებულებისა პრე-
ტენდენტების შესახებ; მეორე მუხლი
შეგვიძლია იქმნა ვადანგეგონისა და
სეს წინადადებით, რომლითაც წევრნი
საფრანგეთში მეფე მეფის გვარეუ-
ლობისა, რომელნიც განიზრახვენ სა-
მეფო ტახტის აღდგენას და შეარსე-
ვის სახელმწიფო მშვიდობიანობას,
მიცემულ იქმნენ სამართალში და გა-
ნიდევნონ საფრანგეთიდან.

2 თებერვალს

პარიში. პალატის კამისამ ერთ-
ხმად უარი განაცხადა სენატისაგან
შეგვიძლია წესდებულებასზედ პრეტენ-
დენტების შესახებ.

ვენეცია. აქ გადაიწყვალა კომპო-
ზიტორი გაგნენი.

რუსეთიდან

2 თებერვალს

პეტერბურში. 31 იანვარს იყო უკა-
ნასკეული კრება კამისისა, რომელიც
სჯის გუბერნიებში ფინანსურ დაწე-
სებულებათა შეერთებაზედ. ბარ. რა-
სენმა დაჟმადლა კამისისა წევრთ შრო-
მის მიღებისთვის და გამოაცხადა

რომ კამისამ აღასრულა თავის ვა-
ლია.

გან. „რუსის უწყებებში“ დაბეჭ-
დილი შენიშვნა, რომ ვითომ ვაგე-
სიის ტრანზიტის საქმეს მთავრობი-
სთვის სწავარაღოდ სწევრდნენ „მარ-
თებ. მოამბის“ სიტყვით უსაფუძვლო
გამოცხადებას.

Table with 2 columns: Name and Amount. Includes entries like 'პეტერბურლის ბირჟა', 'ბანკის ბილეთები', 'პირველი ვაშოცემისა'.

ჩვენებურ ნაშრომთა მდგომარეობა

თუმცა იმპერატორმა აღიქმანდრე
მეორემ ისარგებლა თავისი თვით-
მპრობელობის ძალით და ბატონ-
ყმობა მოსპო 1861 წელს, მაგრამ
ბატონ-ყმური დამოკიდებულება სა-
სულიერო წოდებაში, საეკლესიო
გლეხებში ხელ-უხლებლად დარჩა. ის
მრთელის სახელმწიფოს გლეხებზე
ზრუნავდა, და საზოგადოდ გლეხების
მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ბევრ ხანს არ გაუვლია 1861 წლის
შემდეგ, ჩამოაგდო მისი პარაკება სა-
ეკლესიო ყმების ხაზინისაგან შესყიდ-
ვაზე და ეს საქმეც მშენიერად და-
გვირგინდა, თუმცა არა ყოველგან
სასარგებლოდ ეკლესიისა; მაგრამ ამა-
ში იყენენ დამნაშავენი ადგილობრივი
სამოქალაქო და საეკლესიო მთავრო-
ბანი. მითქმის მრთელს რუსეთის იმ-
პერიაში მოსპო საეკლესიო გლეხე-
ბის და მამულების დამოკიდებულება
სასულიერო წოდებასთან. სასულიე-
რო მთავრობას ამ საეკლესიო გლე-
ხების მაგიერ ყოველ წელს გადაჭრილ
ფულს აძლევს ხაზინა და ყოველი
ბატონ-ყმური დამოკიდებულება ამით
შორის მოსპობილია...

დარჩა მხოლოდ ბატონ-ყმური ან-
გარიში იმ გლეხებში, რომელნიც
ძველი დროიდან შეწირულნი ყოფი-
ლან სამხედვარ გარეთ მონასტრებზე.
ჩვენი წინაპრების გულ-უხეობა და
ქველი საქმეები ქვეყანას აკვირებდა
და ამით ისარგებლეს სხვა-და-სხვა სამ-
ხედვარ-გარეთის მონასტრებმა, გამოკ-
ზავენს ბერები და სხვა-და-სხვა საშუა-
ლებით ჩაიგდეს ხელში მრავალი გლე-
ხები და ადგილები. ამ გლეხების ბე-
დი და მდგომარეობა დღემდინაც
ძლიერ სამწუხარო სურათს წარმო-
გვიდგენს. ისინი დღესაც კიდევ შე-
ნატრიან სხვა გლეხების მდგომარეო-
ბას, რომ ისინი განთავისუფლებულ-
ნი არიან და მათი ბატონ-ყმური და-
მოკიდებულება კი კიდევ ვერ მოს-
პობილია სხვა-და-სხვა გარემოებათა
წყალობით...

ცრებისა ეწინააღმდეგება; კარგად იცოდა,
რომ იმათ სამართალი მოკლე აქვსთ
და დათრობისთვის ცხვირიპირს სისხლ-
ში გაუთქვეფდნენ.

— ეს ყველა ძალიან კარგი, მაგრამ
ხვრინვით კი თავი მოგვაწყინა. შე-
ნიშნა უფრო ხანში შესულმა უფ-
როსმა.

— დიდი, სასიამოვნო არ გახლავსთ.
შეასუხა მეორემ.

— მი, ივან! დაუძახა დენშიკს და
დაუჩვენა ბერდიაზედ. — ბათრიე გ-
რედ და იქ სადმე მიაგდე, — ხელამდინ
გამოიძინებს.

ივანე მივიდა, ბევრს ეწვალა, ბევრი
ანძრია, მაგრამ ვერც გამოაღვიძა და
ვერც მოგროა.

— რა მოგივიდა? შეუტია უფ-
როსმა.

— ძალიან მძიმეა, ვერ მოგვრიე.
— ბაღიძე. შუბანა ბატონმა.

— მი, კაცო, კაცო! რამდენჯერმე
ფეხის წაკეოთ ჩასძახა სალდათმა და
მერე ისევ უფროსებს მიუბრუნდა: — არ
იღვიძებს, თქვენო მაღალ-კეთილშო-
ბილებო.

— მისილი ივანის! მიუბრუნდა
უნკროს აფიცრს. — შეველეთ თო-
რემ ამაღამ მოსვენებას არ მოგვეცემს.
მისილი ივანისი სამხედრო სამსა-

ხურში გაწრთნილი და დაჩევილი
უარ-უყოფელს მორჩილებას, მიეშვე-
ლა სალდათს, თუმცა კი გულითა
სურდა ამ საქმის აღმასრულებლად
სხვებში ჰყოლოდა.

მათ რის ყოფით გაათრის ბერდია,
გაიტანეს მინდორზედ, რათა სახლიდ-
გან მოშორებული დაგდოთ, რომ
თავის ხვრინვით ნაზი ბატონი აფი-
ცრები არ შეეწუხებინა და თითონ
ისევ შემოვიდნენ.

— მხლა მოსვენებით დავიძინებთ,
წარმოსთქვა უფროსმა.

— რასაკვირველია, ბატონო პოლ-
კოვნიკო.
— მოამზადე ქვეშაგები და ჩაიც
აჩქარე. მიუბრუნდა უფროსი სალ-
დათს, რომელმაც აჩუხუნებულნი სა-
მოვარი სტოლზედ დადგა.

პოლკოვნიკი და მისილი ივანისი
მოჰყენენ ჩაის სხას და ჩქარა ფუნჯ-
ზედ გადავიდნენ და დიდმა ხანმა არ
გაიარა, რომ ორთავ თვალეები აემღე-
რათ და, წინადაც კოტა გადაკრუ-
ლებმა, ეხლა ენა არევით დაიწყეს ლა-
პარაკი.

მსენი ამ ქვეფში იყენენ, როდესაც
ათერა თავის ოთახში ჩაკეტილი იყო.
ბერდიას დათრობა ისე სწრაფად მოხდა,
რომ რამდენიმე ოთახს მოშორებულ-

მა ქალმა ვერა გაეგო-რა. ხრილსა
და ბრახი-ბრუხს კი ბარგის შეტან-
გატანას მიაწერდა. ის დარწმუნებული
იყო, რომ ბერდია ფხიზლად უყარაუ-
ლებდა და სტუმრებსაც რიგზედ დაუ-
ხვდებოდა; ამისთვის დამშვიდებული
ათერა სრულს და უზრუნველს განსეე-
ნებას ეძლეოდა.

პოლკოვნიკმა მოიწადინა მწვადი
და უბძნა სალდათს.

— სამწვადეს ვერსად ვიშოვნით.
— არ ვიცი თქვენო მაღალ კეთილ-
შობილებო!

— მასწი გაშინჯე სახლი, მთის
ხალხი ხორცს ყოველთვისინ ინახვენ,
თუ ახალი არა—ლოკი მაინც ექნე-
ბათ.

სალდათი ქუსლებზედ გატრიალდა,
არღო სათელი და რა კარს გასცილ-
და გინებით და ლანძღვით დაუწყა
ოთახებში ხორცს ძებნა, მაგრამ ვერა-
სა პოულობდა. ამისთვის შევიდა მე-
ორე ოთახში, რომელიც ცარიელი
დახვდა და მიაწვა იმ კარს, სადაც
ათერა ჩაკეტილი იყო.

— მათხი შეგიძლიან არის ჩაკე-
ტილი, იფიქრა იმან. ჰგავს შინ კი-
დეგ ვილაცა ყოფილია და დააბრახუნა
კარები. ათერა, დარწმუნებული, რომ
ბერდიას მეტი არავინ მივიღოდა იმის

*) ის. „დროება“ № 22.

საზოგადოდ რომ თქვას კაცმა, ჩვენში სრულებით არ ყოფილა იმის მსგავსი ბატონ-ყმური დამოკიდებულება, როგორსაც ვხედავთ რუსეთში. მართალია, ჩვენში იყო ბატონ-ყმობა, მაგრამ ბატონი თავის ყმის მართა ბატონი კი არ ყოფილა, ის იყო მისი ბატონი, მამა და ძმარუნველი. შმას ჰქონდა თავის საკუთრება, მამული, რომელზედაც ბატონს თითქმის არავითარი უფლება არ ჰქონდა; დანიშნულს სამსახურს აუსრულებდა და შემდეგ თავისუფალი იყო ყოველისფრის საქმისაგან. ბაზა არ ახსოვთ ეხლა, რომ ჩვენში, ხაბაზი პურს გამოაცხობდა და თავზე რომ გადაკვდამოდი, წყალს არ მოიტანდა? მერიკიბე ღვინოს დასხამდა, მაგრამ არაფრის გულისთვის წისკვილში საქბავს არ წაიღებდა!..

შპების მდგომარეობა აღექვანდრე პირველის დრო უმჯობესი იყო, მაგრამ ნიკოლოზის გამეფების შემდეგ, სხვა-და-სხვა პოლიტიკურ გარემოებათა გამო, გლეხები ძნელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, გაიგო ჩვენმა მებატონებმა, რომ იგინი არიან სრული ბატონი თავის ყმებისა, რომელთაც რაც უნდათ იმას უხმენ. ბევრს ადგილას დაჰკარგეს უწინდელი შეხედულება მებატონებმა ყმებზე, მაგრამ ამას მოჰყვა სამწუხარო შედეგებიც. მადლობა ღმერთს, მალე გათავდა ბატონ-ყმობის დამოკიდებულება, მაგრამ გლეხებმა ამ განთავისუფლებასთან დაჰკარგეს, რაც მათ ეკუთვნოდათ და მოიგეს მათმა მებატონებმა, რაც მათ არ ეკუთვნოდათ.

რუსეთის კანონებს მხედველობაში არ ჰქონდა ჩვენი განსაკუთრებული

მდგომარეობა და ამით დაუკარგა გლეხებს ის, რაც მათ ეკუთვნოდა და მიანიჭა უსაფუძვლოდ მებატონებს. ამით ბევრი მებატონე მოგებულნი დარჩა ბატონ-ყმობის მოსპობით და გლეხები კი წაგებულნი..

პეტერბურლიდამ სანამ ჩვენში მოაწვედეს კანონი, თავის ძალას ჰკარგავს ხოლმე ჩვენთინ, და ხშირად, ღირსიც არ ეხდებით მისი ასრულებსა. ასე მოხდა ამ ბატონ-ყმობის საქმეშიაც...

რუსეთში სულ სხვა წესით დამორღნენ გლეხები თავიანთ მებატონებს და ჩვენში სულ სხვა წესით. რუსეთში გლეხების ადგილების გამოსასყიდლად მართებლობა ხაზინადამ ფულს აძლევს მებატონებს და შემდეგ ამ ფულს კოტ-კოტას ახდენენ გლეხებსა. როდესაც ამ ფულს შეიტანენ გლეხები სრულად ხაზინაში, მაშინ ისინი სრული მესაკუთრენი შეიქნებიან.

ჩვენში სხვა წესებით მოხდა ბატონ-ყმობის მოსპობა. აქ ყმა სამოსახლოში, შეშაში და ქილაში ფასს აძლევს მებატონეს; ამასთან ყოველის შემოსავლიდან მებატონე იღებს მეოთხედ შემოსავალს და ვალდებულია ეს მეოთხედი ორმოცდაათი ეგრისის სიმორზე მიუტანოს ბატონს. რამდენი ხანიც უნდა იყოს, გლეხმა ბოლოს მაინც უნდა შეიყიდოს მამული მაგრამ შესყიდვაც ხაზინის დაუხმარებლად ხდება.

აუარებელი ფულები გადის მომრიგებელ შუამდგომლებზე და საგლეხო სასამართლოებზე. რომ გამოიანგარიშოთ ჯერ მართო მომრიგებელთა შუამდგომლების ჯამაგირები და საგლეხო სასამართლოს ხარჯი 1865 წ. აქეთ, დიდ ფულს შეადგენს. ამას,

რომ ის დაუმართო, რაც „უსტანის ღრამატის“ შესადგენად ფულები დახარჯა და სხვა გასაფიცი მებატონებისა და გლეხებისა, შეადგენს იმდენ ფულს—რამდენიც სრულებით საკმაო იყო ყველა გლეხების მამულების გამოასყიდლად. მაგრამ წინდაუხედაობით ძლიერ ბევრი საქმე გაფუჭებულია და კიდევ ბევრი გაფუჭდება.

ზაბედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მომრიგებელ შუამდგომლებს ბევრი არაფერი გაეღენა ჰქონათ გლეხების მამულების შესყიდვის შესახებ-მებატონებთან. ისინი არა თუ დხმარებიან გლეხებს ადგილების შესყიდვის საქმეში და არაფერი შუამდგომლობა გაუწევათ, არამედ ხინდისხან ხელსაც უშლიდნენ მათ და აბრკოლებდნენ გლეხებსაც და მებატონებსაც. ბევრი მათგანი თავის რაიონებში არ სცხოვრებენ და გლეხები და მებატონები, შორიდგან მოსულნი, უკან წასრულან, მომრიგებელი შუამდგომელი რომ თავის განყოფილებაში ვერ უნახავსთ და მებატონესა და გლეხებს შორის მორიგებული და გათავებული საქმე ჩაშლიათ. არაერთ-გზის გამოცხადებია გუბერნატორებისაგან მომრიგებელ შუამდგომლებს, რომ ნება დაურთველად ისინი არ გამოვრებოდნენ თავიანთ განყოფილებას, მაგრამ ამ განკარგულებას თავის ძალა ვერ გამოუჩინია ხოლმე. მართის სიტყვით, მომრიგებელ შუამდგომლები კი არ გაჩნდნენ გლეხებისთვის, გლეხები და მებატონეები გაჩნდნენ მათთვის.

მაგრამ ბარაქალა ჩვენ გლეხებს, რომ, თუმცა ბევრი დაბრკოლება აქეთ, მანც აუარებელი მამულები შესყიდეს მებატონეთაგან. ამას დაეხმარა ჩვენი მებატონეების უთავბო-

ლოდ ფულების ხარჯვა. შთაურობას მოსდევს ფულების სპეკულაცია. ბლეხებიც ისე გაოსტატდნენ, რომ უმისთანა მოხერხებულ ღროვას უყუარებენ და ჰყიდილობენ მამულებს. ბაოცდება კაცი ნოტარიუსის წიგნებს რომ აკვირდება: თითქმის არ მომხდარა ჯერ, რომ როდესმე გლეხებისაგან თავდა-აზნაურობას ადგილი ეყიდა; მაგრამ მათი ადგილი კი ყოველწელს გადადის აუარებელი გლეხების ხელში. იუ ასე მიჰყვა თავდა-აზნაურობა ადგილის ყიდვას, ორმოცდაათწელს იქით სალალოდ თუ აიღებენ გლეხებისაგან მამულებს, თორემ სიმინდის მოსაყვანი ადგილი არ ექნებათ...

(გაგრძელება იქნება)

დღიური

ბაქო-თფილისის რკინის გზის ოფიციალურად გახსნას ამ მომავალ მარტში მოელოან; თუ მარტში ვერ მოასწრეს აპრილში უეჭველად, ამბობენ.

ამ დღეებში თფილისიდან წაეიდა ინჟინერების კამისია ამ გზის ხიდების შესამოწმებლად.

* *

ბაზეთს „მოსტოკში“ სწვრენ: „აღრინდელია საქართველოს ექსარხოზმა, აწ მოსკოვის მიტროპოლიტმა, მალალ ყოველად-სამღვდელო იოანიკემ შესწირა 2,500 მანეთი თფილისის სასულიერო სემინარიაში სტიპენდიის დასანიშნავად დ. მ. მიხეილ ნიკოლოზის-ძის სახელობითა. შუწმინდესმა სინოდმა დამტკიცა ეს სტიპენდია.“

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს ფული მართო მალალ ყოველად-სამღვდე-

ოთახთან წამოვარდა და მსწრაფად კარი გააღო. ძალმა დაინახა რუსი და მოულოდნელობისგან გაშტერდა; რუსიც ისე გაკვირდა, რომ კინაღამ ხელიდან სანთელი გავარდა. მშვენიერი, ყმაწვილი და წერწეტი ქალი, ანგელოზის სახის მქონე, ამ იღუმალს მართობაში იმის წინ იდგა.

ათერამ კოტ-კოტად რუსული იცოდა და მოახერხა კითხვა, თუ რა ენებებოდა დაუპატიჟებელს სტუმარს.

— ბატონს სამწვადე უნდა, გმქებათ რამე.

— სამწვადე როგორ არა გვაქვს? აი ეხლავ, გაბრუნდა ქალი და ჩამუუჭრა მთელი ზგავა-ღუმიდგან „საუკეთესო ნაჭერი“.

მაგრამ ეს ყველა ისე საჩქაროდ მოხდა, რომ ათერამ იმის გამოკვლევა-კი ვერ მოასწრო, თუ რუსი რად მოვიდა სამწვადის სათხოვრად, მაშინ როდესაც ბერდი: იქ იყო.

ის დაფიქრდა ამ საგანზედ, მერე წარმოსთქვა: „წყალზედ თუ გაგზავნეს, რუსს გზა არ ეცოდინებოდა“.

სალდათი-კი შეეიდა თავის ბატონებთან ღიმილით და ღრეკით.

— იშოვე? წირბების შეკვრით ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— ღიად, თქვენო მალალ კეთილშობილებავ.

— აბა, მაჩვენე? სალდათმა მიიტანა სამწვადე სანთელთან, პოლკოვნიკმა გადაატრიალ-

გადმოატრიალებინა და პირში ნერწყვი მოსული კმაყოფილი დარჩა.

— შოჩ ღ, ყოჩ ღ, შეაქო იმან.— აბა, ჩქარა შეწვი... შამფურები ხომა გაქვს?

— ბახლავსთ, უბასუხა იმან მაგრამ ადგილიდან არ იძროდა.

პოლკოვნიკმა შეხედა.

— რაღა გაცანებს? წარბებ შექმუხენით ჰკითხა.

— არაფერი, თქვენო მალალ კეთილშობილებავ!

— როგორ თუ არაფერი?

— იანეთი ღ მ-ში „ხაზიაიკა“ ჰყოლია...

— მისა ჰყოლია? რას ანბობ?... — აი, კაცი რომ დაათვრით იმას.

— მართლა? მართლ წამოიძახეს პოლკოვნიკმა და მეორე აფიცრმა, რომელთაც შუბლი გაეშალათ და სახე გაუღიმდათ.

— მართლა, თქვენო მალალ კეთილშობილებავ.

— ჰა... რას იტყვი? ჰკითხა უფროსმა უნცროს აფიცრს.

— ჩინებული შემთხვევა არის, პოლკოვნიკო სხვა რა მოგახსენოთ.

— ნახტი სურათი ვახლავსთ, სწორედ ნახტი!

— მაშ წადი აქ მოიყვანე.

— რომ არ დამიჯეროს.

— ბალენ! დაუყვირა პოლკოვნიკმა და დაუმატა.— მაშ რის სახმედრო კაცი ხარ, თუ-კი ქალსაც ვერ დამორჩილებ ვერ მოიყვან?

— შვირილს დიწყებს, თქვენო მალალ კეთილშობილებავ!

— იუნდა ჰერი აჰყაროს!.. ბასწი ეხლავ მოიყვანე, გესმის.

— მესმის. ჩვეულებისამებრ გატრიალდა რუსი და გავიდა.

აფიცრები მხიარულად მოელოდნენ ღამაზ გოგონას, რომელიც იმათის აზრით უეჭველად მოვიდოდა, რადგანაც ისეთი ბედნიერება ეღირსა, რომ ბატონმა აფიცრებმა იკადრეს იმასთან ქეიფი...

— ათერას, რომელიც თავის ოთახში ჰიდებულყო საგებელზედ, ძილი გაფრთხობოდა და აღარ ეძინებოდა.

ისა ჰფიქრობდა თავის ბერდიზედ, რომლის მშვენიერებაც თვალ-წინ ეხატებოდა; ჰფიქრობდა იმ სანატრელს ღროზედ, როდესაც შეუერთდებოდა იმას და მოხევის ქალები შურით დაუწყებდნენ ყურებას.

ის ამ ფიქრებში იყო, როდესაც სალდათმა შეაღო კარები; ათერა მსწრაფლად ფეხზედ წამოვარდა და

შეხედა სალდათს, რომელსაც პირი უღიმდებოდა.

თვალები საზოგადოდ გამოსთქვამენ ადამიანის გულის პასუხს და უმეტეს ნაწილში აგებინებენ აზრს. ათერამაც რალაცა უკაცური, ბოროტი სურვილი ამოიკითხა რუსის თვალებში და თავისავე უნებურად ჟრუანტელმა სხეულში გაურბინა.

— რა გინდა? ჰკითხა ქალმა უფრო ანგარიშ-მიუცემლად, სანამ მოაზრებით.

სალდათმა ჩაახველა, ჩაიციინა კიდევ და თავის გადაქნევასთან ერთად უთხრა:

— წაეიდეთ.

— სადა? ბაკვირებით იკითხა ათერამ.

— იქ, თვალთ ანიშნა სალდათმა, აფიცრების ოთახისკენ.

ძალი გაშტერებული უყურებდა, რადგანაც ვერ გაეგო, რას ითხოვდნენ იმისგან, ან ასე გულმოდგინედ საღებატყებოდნენ.

— შენ ნუ გეშინიან, დიწყო ისევე სალდათმა.— შეგინი კარგი ბატონები არიან, უბრალოები კი ნუ გეგონება?.. შული ბევრი აქვსთ, სულ ოქროებს მოგცემენ.

ათერა მიხედა სადაც და რისთვისაც ეხატებოდნენ და იქამდინ ანთო ამ შეურაცხყოფობით, რომ მთლად გაფითრდა და კანკალი დაიწყო; სიტყვაც კი გაუწყდა პირში და თითქოს

